მატჩი მოსკოვში

მოსკოვი. “ტორპედოს” სტადიონი. 23 ოქტომბერი.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 3:2 (1:0).

“ტორპედო”: ზარაპინი, პრიგოდა, ხუდიევი, ბუტურლაკინი, ჟუპიკოვი, ვანიუშკინი (მირონოვი), ფილატოვი, ხლოპოტნოვი, იურინი, სახაროვი, გრიშინი (ხრაბროსტინი).

“დინამო”: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (ქორიძე), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გოლები გაიტანეს: სახაროვმა, გ. მაჩაიძემ, იურინმა, ხრაბროსტინმა, ყიფიანმა.

გაფრთხილებული არიან ფილატოვი, კანთელაძე, სახაროვი.

დუბლიორები – 0:0.

მატჩი “ტორპედოს” იერიშებით დაიწყო და მანამდე გაგრძელდა, სანამ სახაროვის შორიდან დარტყმულმა ბურთმა წარმატება არ მოუტანა ავტოქარხნელებს. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა. 47–ე წუთზე კი გ. მაჩაიძემ წონასწორობა აღადგინა.

მე–60 წუთზე “ტორპედო” ისევ გადის წინ (იურინი). 83–ე წუთზე კი ხრაბროსტინმა 3:1–მდე გაზარდა ანგარიში. თამაშის დამთავრებამდე “დინამო” ერთთავად უტევს, 87–ე წუთზე ყიფიანი ამცირებს სხვაობას. ამის შემდეგ თბილისელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს (გუცაევი), მაგრამ გვერდითმა მსაჯმა მ. კუსენმა (ლვოვი) თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა.

გაიმარჯვა “ტორპედომ” – 3:2.

“ლელო”, 25 ოქტომბერი, 1977 წ.